ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №307408

ნომერი: AR172495

თარიღი : 10.08.2012

გაცემის თარიღი : 15.08.2012

გაცნობის თარიღი : 17.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიონის მოპირდაპირე მხარეს ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თათულაშვილი პ/ნ 01024004177
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 13ა ბ. 34

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს საგა იმპექსი კოდი: 205185235

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე პირველი კლასის დროებითი 2.0 მ. სიმაღლის ღობის მოწყობის და ტერიტორიაზე არსებული ნაყარი მიწის მოხსნისა და გატანის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, მიონის მოპირდაპირე მხარეს, შპს "საგა იმპექსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/095), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე დროებითი 2.0 მ. სიმაღლის ღობის მოწყობას და ტერიტორიაზე არსებული ნაყარი მიწის მოხსნისა და გატანის განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”საგა იმპექსი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.13.02.003.095, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012297891 02.07.2012წ. შპს "საგა იმპექსი"-ს მიერ გაცემული მინდობილობა #18/07/12-1 18.07.2012წ.; ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული #289825 01.08.12წ. გადაწყვეტილება; ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, მიონის მოპირდაპირე მხარეს, შპს "საგა იმპექსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/095), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე დროებითი 2.0 მ. სიმაღლის ღობის მოწყობის და ტერიტორიაზე არსებული ნაყარი მიწის მოხსნისა და გატანის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ღობე მოეწყოს შპს "საგა იმპექსი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge